შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

V ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

XIX საუკუნეში ახლანდელ ბარათაშვილის ქუჩას ავლაბართან აკავშირებდა ბორანი, რომელსაც დღე-ღამეში დაახლოებით 2000 კაცი გადაჰყავდა. ჯერ კიდევ 1880-იანი წლების დასაწყისში გადაწყვიტა თბილისის თვითმმართველობამ, რომ ამ ადგილას ხიდის მშენებლობა დაეფინანსებია.

მუხრანის ხიდის პირველი პროექტი 1882 წელს შეიმუშავა უმანსკიმ მაგრამ პროექტი მეტად ძვირად-ღირებული აღმოჩნდა და ხიდი თითქმის 30 წლის დაგვიანებით აშენდა. პროექტის ავტორი იყო ევგენი პატონი რომელმაც პირობა დასდო, რომ ჯერ სამუშაოს შეასრულებდა და ჰონორარს მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღებდა თუ დამკვეთი მის პროექტს მოიწონებდა. მან ხიდისათვის ორიგინალური თაღოვანი კონსტრუქციები გამოიყენა. ეს იყო პირველი ხიდი რუსეთის იმპერიაში რაც შედუღების წესით იქნა აგებული. მისი აწყობა 5 თვეში დასრულდა. ხიდის სავალი ნაწილი ავსტრალიიდან ჩამოტანილი ევკალიპტის ძელებიდან იყო დამზადებული. ხიდის გახსნა ოფიციალურად 1911 წლის 23 აპრილს აწარმოეს.

1965 წელს მუხრანის ხიდი აიღეს და მის მაგივრათ ააგეს ორიარუსიანი ხიდი, რომლის ზედა იარუსი საავტომობილო მოძრაობისთვის იყო განკუთვნილი, ქვედა იარუსი – ქვეითად მოსიარულეთათვის. გარდა ამისა აქ რამდენიმე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები გაანთავსეს.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ ლია სტურუას ლექსი „გამიგონია, მთიელ ხვარამზეს...“:

„ნეტავი თასად მაქცია,
რო ღვინით აგევსებოდი,
შეფერილი მქნა წითლადა,
შამსვამდი, შაგერგებოდი“.

ხვარამზეს ლექსი ვაჟიკას

გამიგონია, მთიელ ხვარამზეს
კაცი უყვარდა,
ის იყო, ალბათ, გუთნისდედა და მონადირე,
და ერთხელ დილით
მის ეზოზე ჩამოიარა.
არ უთხოვია წყალი ან ჩრდილი,
არ შიებია მსუყე ხინკალი,
არ უძებნია ლამაზი და ჯანსაღი ცოლი,
ისე, უბრალოდ, მის ეზოზე ჩამოიარა.
არც დაუნახავს ეზოში ქალი,
რადგან ეს ქალი
არ აგონებდა შველს ან პირიმზეს,
ის იდგა ჩუმი და უჯიათი

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

არ შეავედრა ოჩოპინტრეს მისი იღბალი,
არც გადუხლართავს ცხენის ძუა
ვერცხლის მძივებით,
რომ ამოევსო წმინდა ჩხრიალით მისი ჭენება...
არც უთხოვია, არაფერი არ უთხოვია...
ის გავდა მინდორს,
რომელზედაც მხოლოდ დადიან,
მაგრამ არასდროს არ აგონდებათ...
ის არც წასულა, არ ასვეტილა
ყველაზე თეთრ და ამღერებულ ეკლესიაში,
ვით ხე დარდისა
ბერწი და ყვითელი.
მან შემოავლო თავის სევდას
მაღალი ღობე,
და მამაკაცის ნაფეხურები
იდგა მიწაზე,
როგორც პურის ან ღვინის მცენარე...
და არ იცოდა მონადირემ,
რას ნიშნავს, როცა
დედაკაცები გამოვლენ მზეზე,
ლაპარაკობენ მოგუდული ხმით

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

და ზარებივით არხევენ თავებს
და როგორც ძველი, ყვითელი თაფლი
მათ ტანებზე წვეთავს შუადღე...
მან არ იცოდა,
რადგან გავდა მეძებარ ძაღლებს,
რომლებიც სდევენ ნადირს კი არა,
საკუთარ შიშს,
ამ ნადირივით დაუძლეველს და გაუგებარს
და არ იციან,
რომ არის სადღაც ასეთი ქალი,
ერთადერთი,
მას შეუძლია ააფაროს
თავისი თმების თავთავები
მარადიულ და კაცურ სევდას
და მისცეს პური შიშის მაგივრად
და გავდეს მინდორს
მთელი სიცოცხლე
მინდორს, რომელზეც მხოლოდ დადიან,
მაგრამ არასდროს არ აგონდებათ.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა ფუნქცია აკისრია ლექსის ეპიგრაფს?

ა) მისი მეშვეობით ავტორი მკითხველს კაცის მიმართ უარყოფით განწყობას უქმნის.

ბ) მისი მეშვეობით ავტორი ნაწარმოების მთავარ სათქმელზე ამახვილებს ყურადღებას.

გ) მისი მეშვეობით ავტორი ქალის ტრაგიკული გადაწყვეტილების ახსნას ცდილობს.

დ) მისი მეშვეობით ავტორი ცალმხრივი სიყვარულის ცვალებად ბუნებას გვაცნობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. რა შეიძლება ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ კაცს: *„არც დაუნახავს ეზოში ქალი...“*?

ა) თავად ქალი არიდებდა თავს კაცს, რადგან მორცხვი და გაუბედავი იყო.

ბ) კაცს ეს ქალი იმდენად არ აინტერესებდა, რომ მისი არსებობაც არ შეუმჩნევია.

გ) კაცს შველზე სანადიროდ მიეჩქარებოდა და გარშემო ვერავის ამჩნევდა.

დ) მონადირეს სხვა ქალი უყვარდა და ამიტომ ზედაც აღარავის უყურებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. რას გვეუბნება ქალის შესახებ სიტყვები: *„არ აგონებდა შველს ან პირიმზეს...“*?

ა) ადვილად ვერავინ მოინადირებდა.

ბ) განსაკუთრებით ლამაზი იყო.

გ) გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდა.

დ) ყველას დანახვისთანავე ხიბლავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. რას ნიშნავს სიტყვა: *„უჯიათი“*?

ა) თავხედს.

ბ) უთქმელს.

გ) უმწეოს.

დ) ჯიუტს.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე](#)

(1) 6. რა გააკეთა ქალმა, როცა საყვარელი მამაკაცი თვალს მიეფარა?

ა) ეკლესიაში წავიდა, რათა კაცის ბედნიერებისათვის ელოცა.
ბ) კაცის ნაფეხურებს, როგორც საკუთარ სევდას, ღობე შემოავლო.
გ) კაცის ცხენის ძუას ვერცხლის სამკაულები ჩაახლართა.
დ) ოჩოპინტრეს, ნადირთა მფარველს, კაცის იღბალი შეავედრა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რომელ ფრაზაშია გამოყენებული შედარება?

ა) „არ შიებია მსუყე ხინკალი,
არ უძებნია ლამაზი და ჯანსაღი ცოლი...“
ბ) „გამიგონია, მთიელ ხვარამზეს
კაცი უყვარდა...“
გ) „და ერთხელ დილით
მის ეზოზე ჩამოიარა“.
დ) „ლაპარაკობენ მოგუდული ხმით
და ზარებივით არხევენ თავებს“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. ავტორის აზრით, რა *„არ იციან“* კაცებმა?

ა) მათზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალების ამოცნობა.
ბ) რჩეული მეძებარი ძაღლების სანადიროდ გაწვრთნა.
გ) სასურველი ნადირის კვალზე დროულად დადგომა.
დ) ცალმხრივი სიყვარულით გამოწვეული შიშის დაძლევა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რით გამოხატავს ხვარამზე თავის შემოქმედებით ბუნებას?

ა) ვერცხლის მძივების დამზადებით.
ბ) სასიყვარულო ლექსების წერით.
გ) ღვინის თასების მოხატვით.
დ) პურის თავთავების დაწვნით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. რა მხატვრული საშუალებაა:

„და როგორც ძველი, ყვითელი თაფლი
მათ ტანებზე წვეთავს შუადღე...“?

ა) ალეგორია.

ბ) გაპიროვნება.

გ) მეტაფორა.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. ლექსის კონტექსტის მიხედვით, რას შეიძლება ნიშნავდეს სიტყვები: *„და მისცეს პური შიშის მაგივრად...“*?

ა) მისცეს სიმდიდრე სიღარიბის ნაცვლად.

ბ) მისცეს სიყვარული მარტოობის ნაცვლად.

გ) მისცეს ძალაუფლება მორჩილების ნაცვლად.

დ) მისცეს ცოდნა უმეცრების ნაცვლად.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. სულიერად ფაქიზი ადამიანები ხშირად შეუმჩნეველნი რჩებიან.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“:

ოთარაანთ ქვრივი ამ ბოლოს ხანებში ჰხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანაღვლიანდა...

იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს დილამდე ძილი არ მიჰკარებია...

– პაჭიჭს კი, მგონი, წვერი შემოერღვა, – სთქვა თავისთავად ბოლოს, – მგონი, მივკვლიე: დროც ერჩის და ხანიც უწევს. რატომღა არ მეუბნება, ვინ არის?

ეხლა ამას სწუხდა, ამას მტკივნეულობდა დედა.

– არ უჭირს და იმიტომ, – ინუგეშა თავი ოთარაანთ ქვრივმა, – როცა გაუჭირდება, მეტყვის.

მოხუჭა თვალი ქვრივმა. არ დაეძინა. გადაბრუნდა ხან იქით, ხან აქეთ, ძილი არ მიეკარა.

ღამე კი არ უცდიდა, თავის გზას ეშურებოდა.

– მართლა კი მივუხვდი?.. მართლა კი მივკვლიე?.. – ეჭვობდა გიორგის დედა, – იქნება გუმანმა დამიბრიყვა და მატყუებს. რა ვიცი?.. ადამიანის გული თვალთუწვდენი ორმოა. ვინ იცის?.. იქნება მე ერთი მგონია, იქ კი სულ სხვა ამბავია... სხვა რა უნდა იყოს, რა?.. – ჰკითხავდა თავისთავს და გული უკვნესოდა, რომ პასუხი ვერ ეპოვნა. ღამე კი მიდიოდა და მიდიოდა...

– სხვა რა უნდა იყოს, რა!.. – იძახდა ძილდამფრთხალი ოთარაანთ ქვრივი, – თუ გამტეხავს, ამის ნაღველი გამტეხავს... არ გამენდო... არ მეუბნება ჩემი გიორგი და არა... თუ გული შევარდნია ვისზედმე, რად უნდა მიმალავდეს! რა დასამალავია ჩემთან!.. და თუ სხვა რამ ასტეხია... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ...

გადიწერა სამჯერ პირჯვარი, თითქო ლანდი რამ მოელანდა და იმას იგერებსო...

– ამ ორის წლის წინად თოფ-იარაღი აისხა ზედ, – ვენაცვალე იმის სიყმეს! უხდებოდა მამისეული, – წავიდა და სამი დღე შინ

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

აღარ დაბრუნებულა. მე, სულელს, მაშინ ეს გუნებაშიც არ გამიტარებია. ეხლა კი მაღონებს და გულთა მკბენს... სანადიროდ ვიყავიო, მითხრა. თუ სანადიროდ იყო, ხელცარიელი რად მოვიდა? მერე ყვირილობაც იყო... თავის დღეში ხელცარიელი არ მინახავს ნადირობიდამ დაბრუნებული. იმ ცხონებულს არ ჩამოუვარდება. თუ მეტი არა, მამაზედ ნაკლები არც ეს არის... მას აქეთ დაიგდო ნაღველმა. მე კი ესე დამახსოვდა-და!.. მას აქეთ დააწვა რაღაც ლოდი გულზედ და ვეღარ აუხსნია... ხომ კაცი... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ, ღმერთო, ცა-მრგვლის გამჩენო! რა ვიცი?.. ამ ტიალ წუთისოფელში ფათერაკი ბევრია... ღმერთო, მაშორე, ფუ, ეშმაკსა და იმის თავსა და ტანსა!..

შეაფურთხა ეშმაკს და გადიწერა კიდევ სამჯერ პირჯვარი შეშინებულმა დედამ. ფიქრი კი მაინც ერჩოდა, ეჭიდებოდა...

რაკი ამისთანა ფიქრმა ერთხელ გული ამოუფრთხო ბუდიდამ, უძილობისაგან გალახულმა, ფიქრის ჭიდილში მოქანცულმა ოთარაანთ ქვრივმა თავი ვეღარ დაუჭირა გულს, ვეღარ დაიწყნარა, ვეღარ დაიმორჩილა.

– ღმერთო, მიხსენ! – იძახდა ღონემიხდილსავით და ერთს ავს ფიქრს რომ აიცილებდა, ახლა უფრო უარესს წააწყდებოდა. ფიქრი ლანდად გადაექცა...

ოთარაანთ ქვრივიც მოჰღალა ფიქრმა... თვლემა მოერია, ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი – სიზმრად. სჩანს ამ ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა, რომ მძინარემ რამდენჯერმე წამოიძახა:

– ღმერთო, მიხსენ! ღმერთო, მიხსენ!

მზემ ადგომა მაინც ვერ დაასწრო. ოთარაანთ ქვრივი პირდაბანილი და ტანთჩაცმულიც იყო, რომ მზემ მაშინ ძლივს ამოჰყო თავი მთის წვერიდამ და გადმოხედა ქვეყანას თავის ერთადერთის ოქროსავით ბრჭყვიალა თვალითა...

– რა დამემართა წუხელის? – ჰკვირობდა ოთარაანთ ქვრივი, – რამ წამიღო? რამ დამძლია და ამითრია? ჭირს ნუ გაუტყდებიო, მითხრა ცხონებულმა. მოდი და ნუ გაუტყდები!.. დამალული ჭირი ძნელია. პირდაპირ მოსულს კიდევ როგორც იქნება შეეჭიდება კაცი... ვის ვეჭიდო და რას, რაც არ ვიცი. გული ამან შემიშინა... ბნელმა თავის ნაბადში გაახვია ჩემის გიორგის ამბავი. თუ სიყვარულია... ღმერთმა ბედი მისცეს და თუ სხვა რამ არის!.. ცოდო... სისხლი... ჩაიქოლე თავი, ოთარაანთ ქვრივო,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ჩაიქოლე... გულზედ ლოდსავით დააწვება და თავის დღეში აღარ აეხსნება... აღარ, აღარ!.. კიდევ აჰყვა წუხანდელს ფიქრსა. სულ ის სამის დღით წასვლა შვილისა აგონდებოდა და აფრთხობდა.

ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზე მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. ოთარაანთ ქვრივსაც ასე მოუვიდა. დაუგუნდავდა ფიქრი, შვილის სიყვარულმა ხელი ჰკრა და დააგორა იმ მაღალ მთიდამ, საცა მარტო ჭეშმარიტი დედაშვილური სიყვარული ჰსადგურობს. რა გაუძლებდა!..

ყოველგვარი სიყვარული, – დედაშვილურია, თუ სხვა, – მაინც ფრთხილია და მშიშარა: ჭირი უფრო ელანდება, ვიდრე ლხინი, როცა საყვარელის ტკივილი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია…

დედას შვილი ისევ ლოგინში მწოლარე ეგონა, როცა – აქაოდა შვილი არ გამოვაღვიძოო – ბნელ სახლიდამ ფეხაკრეფით გარეთ გამოვიდა ცოცხით ხელში დერეფნის დასაგველ-დასაწმენდად. გაუკვირდა, რომ თვალი შეასწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს... დედა მივიდა, თავთ დაუჯდა შვილს და შუბლზე ხელი გადაუსვა.

– გიორგი, შენ შენსას მაინც არ იშლი... რაღაც ნაღველი გაქვს, შვილო, რაღაც ნაღველი... ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო... აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, – გაივლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო.

– მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?..

– ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია. შენთან ცოდოს რა ხელი აქვს!.. – უთხრა დედამ და ჩაუკვირდა შვილს, აცა რას იტყვისო. დამნაშავე სამაკვდინო განაჩენს ისე გულის ფანცქალით არ მოელოდინება, როგორც ამ ჟამად დედა შვილისაგან პასუხს ელოდა.

– უცოდველი ვინ არის? ისეთისაგან კი ღმერთმა მიხსნა, – უპასუხა შვილმა.

დედას გულზედ მოეშვა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რის თქმა სურს ოთარაანთ ქვრივს სიტყვებით: *„პაჭიჭს კი, მგონი, წვერი შემოერღვა“*?

ა) ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერდა.
ბ) იმედი მიეცა, რომ პასუხს მიაგნო.
გ) იმედი გადაეწურა, რომ პასუხს იპოვიდა.
დ) ძველმა პრობლემამ თავი შეახსენა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. რატომ *„უკვნესოდა გული“* ოთარაანთ ქვრივს?

ა) იგი ვერაფრით ვერ ეგუებოდა შვილის გაუმართლებელ ნაბიჯს.

ბ) იგი ვერ მიმხვდარიყო შვილის იდუმალი განცდების მიზეზს.

გ) იგი შიშობდა, რომ შვილი დედის პატივისცემას კარგავდა.

დ) იგი შფოთავდა, რადგან შვილისთვის საცოლე ვერ შეერჩია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. რას ნიშნავს სიტყვები: *„გული შევარდნია ვისზედმე“*?

ა) ვინმეს გამოსარჩლებია.
ბ) ვინმე შესძულებია.
გ) ვინმე შეჰყვარებია.
დ) ვინმესთვის უწყენინებია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. რომელ სტრიქონშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „თუ მეტი არა, მამაზედ ნაკლები არც ეს არის“.

ბ) „თუ სანადიროდ იყო, ხელცარიელი რაღად მოვიდა?“

გ) „გადიწერა კიდევ სამჯერ პირჯვარი შეშინებულმა დედამ“.

დ) „დააწვა რაღაც ლოდი გულზედ და ვეღარ აუხსნია“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რას ნიშნავს სიტყვები: *„დაიგდო ნაღველმა“*?

ა) ნაღველი შეებრძოლა.

ბ) ნაღველი მოერია.

გ) ნაღველს შეეგუა.

დ) ნაღველი უკუაგდო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რამ გაუმძაფრა შიში ოთარაანთ ქვრივს, როცა გაახსენდა, რომ გიორგი ნადირობიდან ხელცარიელი დაბრუნდა?

ა) იფიქრა, ნადირობაში ხელის მოცარვამ სასოწარკვეთაში ხომ არ ჩააგდოო.

ბ) იფიქრა, ნადირობის დროს მამისეული თოფ-იარაღი ხომ არ დაკარგაო.

გ) იფიქრა, ნადირობისას რაიმე ეშმაკეულს ხომ არ გადააწყდაო.

დ) იფიქრა, ნადირობისას შემთხვევით ადამიანი ხომ არ შემოაკვდაო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. რა მხატვრული საშუალებაა *„ფიქრი ლანდად გადაექცა“*?

ა) მეტაფორა.
ბ) ეპითეტი.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რა ჩანს ოთარაანთ ქვრივის სიტყვებში: *„ბნელმა თავის ნაბადში გაახვია ჩემის გიორგის ამბავი“*?

ა) აღშფოთება.
ბ) გაურკვევლობა.
გ) სასოწარკვეთა.
დ) სინანული.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. როდის არის სიყვარული *„ფრთხილი და მშიშარა“*?

ა) როცა საყვარელი ადამიანი შორსაა და მის შესახებ არაფერი იცი.
ბ) როცა საყვარელი ადამიანი სატრფოსთან განშორებას განიცდის.
გ) როცა საყვარელ ადამიანს რაღაც აწუხებს და მიზეზი უცნობია.
დ) როცა საყვარელ ადამიანს ცოდვა ამძიმებს, შველა კი შეუძლებელია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რომელ ციტატაში ჩანს, რომ ოთარაანთ ქვრივის შიში უსაფუძვლო იყო?

ა) „ – ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, გაივლიო“.

ბ) „ – უცოდველი ვინ არის? ისეთისაგან კი ღმერთმა მიხსნა, – უპასუხა შვილმა“.

გ) „ – ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო...“

დ) „ – მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?..“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. მშობლისათვის ყველაზე დიდი უბედურება შვილის მიერ ცოდვის ჩადენაა.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.